ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 087/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. კ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 03 ივლისს საჩივრით მომართა კ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის მაისში სამართლებრივი დახმარების მიზნით მიმართა შპს ,,---“-ს დირექტორს გ. ქ.-ს, მისი და მისი მეუღლის დედის საცხოვრებელი ბინების იძულებით აღსრულების შეჩერების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ადვოკატს აუხსნა მდგომარეობა, მან კი გარანტია მისცა მისთვის სასურველი შედეგის დადგომასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს ჰონორარის სახით, თითოეული ხელშეკრულების შესაბამისად, გადაუხადა 1.000-1.000 აშშ დოლარი. მათ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, საქმის დასრულების შემდეგ, ადვოკატისთვის დამატებით უნდა გადაეხადა 1.000 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას წაკითხვის გარეშე მოაწერა ხელი, ვინაიდან, მათ შორის დადებული ზეპირი შეთანხმების პირობებს ეთანხმებოდა და ადვოკატის მიმართ ჰქონდა ნდობა. ზეპირი შეთანხმებით ადვოკატს აუქციონი უნდა შეეჩერებინა მანამ, სანამ გამოსწორდებოდა კ. ბ.-ის ფინანსური მდგომარეობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატს ხელშეკრულებაში სასურველ შედეგად, საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგანთან დაკავშირებით, იძულებითი აუქციონის არ დანიშვნა (5 თვის ვადით) განუსაზღვრავს, რაც მის ინტერესებში არ შედიოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 23 იანვარს მისი ქონება აუქციონზე იპოთეკარმა ლ. გ.-მ შეისყიდა. მისი განმარტებით, ამავე წლის 14 თებერვალს ლ. გ.-მ სარჩელი აღძრა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, რის გამოც დახმარების თხოვნით კვლავ შპს ,,---"-ს მიმართა. ამ საქმეზე ადვოკატთან გააფორმა ახალი ხელშეკრულება. ადვოკატმა შეუდგინა შესაგებელი, მაგრამ დოკუმენტში არ იყო მითითებული მისი პოზიცია კონკრეტულ ფაქტობთან და სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამ საქმეზე სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, ადვოკატმა გააუქმა ხელშეკრულება, რის გამოც საჩივრის ავტორი იძულებული გახდა მოეძებნა სხვა ადვოკატი და გაეწია დამატებითი ხარჯები.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სხვა საქმეც, რომელზეც ადვოკატმა, ასევე, გაუუქმა ხელშეკრულება, იმ საფუძვლით, რომ გადასახდელი ჰქონდა მომსახურების ღირებულება 400 აშშ დოლარის ოდენობით, მაშინ როდესაც საჩივრის ავტორის განმარტებით ეწურებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2016 წლის 4 თებერვალს და ამავე წლის 21 ივნისს, ადვოკატმა მის მიმართ ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით ხელი მოაწერინა ე. წ „შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე". მოტყუება გამოიხატა იმ გარემოებით, რომ მას აქტი არ წაუკითხავს. საჩივრის ავტორის განმარტებით, აქტის თანახმად, მისთვის სასურველი შედეგი უკვე იყო დამდგარი, რეალურად კი, ბინა აუქციონზე გაიყიდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, თანხის დაკისრების თაობაზე და ითხოვს 12.000 აშშ დოლარს.

1.9 საჩივრის ავტორმა, 2019 წლის 18 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ დ. კ.-ს ადვოკატ გ. ქ.-ის მეშვეობით იცნობს. ისინი ერთმანეთს შპს ,,---"-ს ოფისში

ხვდებოდნენ, მაშინ, როდესაც საჩივრის ავტორი საქმესთან დაკავშირებით ადვოკატ გ. ქ.-თან შესახვედრად მიდიოდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. ქ.-მა დ. კ. გააცნო და აუხსნა, რომ მის საქმეს ორივე აწარმოებდნენ და მინდობილობაც გააფორმებინა ნოტარიუსთან. აქვე უთხრა, რომ სასამართლოს სხდომაზე წავიდოდა დ. კ.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, გ. ქ.-სა და დ. კ.-ის მიმართ ერთი და იგივე პრეტენზიები აქვს, რადგან ისინი ერთად მოქმედებდნენ. დამატებით, ადვოკატმა დ. კ.-მა მას არ გააცნო შესაგებელი.

1.12 საჩივრის ავტორმა, 2019 წლის 3 ივლისს ეთიკის კომისიას მომართა განცხადებით, წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები და მიუთითა, რომ მისთვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, რომ სასამართლოს განჩინების საფუძველზე (საქმე N2/12125-15), დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ადვოკატმა გამოიტანა მასთან შეუთანხმებლად და აღარ უბრუნებს კლიენტს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. კ.-ის განმარტებით, კ. ბ.-მ, 2015 წლის აპრილში, თხოვნით მიმართა კომპანია ,,---"-ს, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: კ. ბ.-ის ბინა დატვირთული იყო რამდენიმე იპოთეკით, მას ამოწურული ჰქონდა იპოთეკართან მოლაპარაკების ყოველგვარი რესურსი და დღე-დღეზე ელოდებოდა აღსრულების დაწყებას. კლიენტს სურდა აღსრულების ღონისძიების შეჩერება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 1 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის შემსრულებელი თავად იყო, როგორც კომპანიაში მომუშავე საერთო სპეციალობის ადვოკატი. ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ კ. ბ.-ს ერთდროულად სამმა იპოთეკარმა წარუდგინა სააღსრულებლო ფურცელი და დაიწყეს აუქციონი, რომელიც მან შეაჩერა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, კ. ბ.-ის მიმართ მეოთხე იპოთეკარმაც დაიწყო აღსრულება, რის გამოც კვლავ გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. თუმცა, კლიენტს არა თუ ამ ხელშეკრულების, არამედ წინა ხელშეკრულების საფასურიც არ ჰქონდა გადახდილი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესები და თანმდევი მოლაპარაკებები გაგრძელდა 13 თვის განმავლობაში და დასრულდა 2016 წლის ივნისში, შეთანხმებით, იმ პირობებით, რომელიც კ. ბ.-ისათვის იყო მისაღები. კერძოდ, კ. ბ.-მ განაცხადა, რომ სექტემბრის თვეში იპოთეკარებს თანხას გადაუხდიდა. შეთანხმების პროექტზე მან თავად მოაწერა ხელი, მორიგების აქტი ნოტარიულად დამტკიცდა. ამით დამთავრდა კომპანიის სამუშაო, რომლის ღირებულება კ. ბ.-ს არ გადაუხდია.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ბინის რეალიზაცია მას შემდეგ მოხდა, რაც კ. ბ.-მ დაარღვია სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობები.

ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის ბინის გასხვისება მოხდა არა ადვოკატის ბრალეულობით, არამედ თავად კ. ბ.-ის მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ 2017 წელს, კ. ბ.-მ კვლავ მიმართა კომპანიას და სთხოვა იპოთეკარ ლ. გ.-ის სახელზე რიცხული ბინიდან გამოსახლების შეჩერება. ადვოკატის განმარტებით, კომპანიამ კვლავ გააფორმა ხელშეკრულება კ. ბ.-სთან, მისი თხოვნის საფუძველზე და იგი 10 თვის განმავლობაში კვლავ, უსასყიდლოდ სარგებლობდა კომპანიის მომსახურებით. საბოლოოდ, ხელშეკრულება შეწყდა მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო.

2.7 ადვოკატის განმარტებით, კ. ბ.-სა და კომპანიის ადვოკატებს შორის შედგა შეხვედრა, მის მიერ გადაუხდელი, მომსახურების საფასურის თაობაზე. მან გაფრთხილება პირადად ჩაიბარა, რომ თანხის გადაუხდელობის გამო, შეწყდებოდა კომპანიასთან დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, დაზარალებულია არა კ. ბ., არამედ კომპანიაა, რომელიც 24 თვის განმავლობაში, უსასყიდლოდ ემსახურებოდა მას და თავად, როგორც ადვოკატი, რადგან მომსახურების საფასური არ მიუღია.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ 2016 წლის ნოემბერს კ. ბ.-მ კომპანიაში მიიყვანა თავისი მეუღლე ლ. ბ. და კომპანიის ადვოკატებს განუმარტა, რომ მასაც ანალოგიური პრობლემა ჰქონდა და მათ დახმარებას საჭიროებდა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, იგი კ. ბ.-ის მეუღლეს - ლ. ბ.-საც უწევდა მომსახურებას, მაგრამ მხოლოდ ერთი იპოთეკარის მიმართ. მას ასევე, მეორე იპოთეკარიც ჰყავდა, რომლის მიმართ საქმეს კომპანია არ აწარმოებდა, კ. ბ.-ის გადაწყვეტილებით.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ლ. ბ.-სთან კომპანიამ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ხოლო იმ იპოთაკარმა, რომელთანაც კ. ბ.-ეს თავად უნდა მოეგვარებინა საქმე, ლ. ბ.-ის ქონება აუქციონზე გაიტანა. ადვოკატის განმარტებით, კ. ბ.-მ კვლავ მიმართა კომპანიის ადვოკატებს, გასახლების შეჩერების თაობაზე და კვლავ გააფორმა კომპანიასთან ხელშეკრულება. ლ. ბ.-სთანაც ხელშეკრულება შეწყდა მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო.

2.12 ადვოკატი განმარტავს, რომ კომპანიასა და კ. ბ.-ს შორის შეხვედრისას მოხდა დავალიანების თანხების დათვლა და შეთანხმება. რადგან კ. ბ.-ს არ ჰქონდა კომპანიისათვის გადასახდელი თანხა, შეთანხმებით, ერთობლივი საუბრისას, რომელსაც ესწრებოდნენ ადვოკატები დ. კ., გ. ქ. და კ. ბ., კომპანია და კ. ბ. შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო ბაჟის თანხას მიიღებდა კომპანია და ეს გამოაკლდებოდა კ. ბ.-ის მიერ კომპანიის წინაშე არსებულ დავალიანებას. შეთანხმების შემდეგ კ. ბ.-ის დავალიანება კომპანიის წინაშე დარჩა 10.000 აშშ დოლარი.

2.13 ადვოკატი განმარტავს, რომ შესაგებლის შესახებ კ. ბ. იყო ინფორმირებული, რაც დასტურდება შესაგებელზე მისი ხელმოწერით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 კ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 3 ივნისს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

4.1 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პირველი პრეტენზია ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მომსახურების ხელშეკრულებაზე და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოაწერინა მოტყუებით - ეს დოკუმენტები არ წაუკითხავს და ამის საფუძველზე ადვოკატი სასამართლოს გზით მისგან ითხოვს ჰონორარს; ადვოკატმა არ გააცნო შესაგებელი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.3 კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან კვალიფიციური წარმომადგენლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია დაცვის სტრატეგიის შეთანხმება კლიენტთან. ასევე, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს გააცნოს მის მიერ მომზადებული განცხადება, საჩივარი, სარჩელი, შესაგებელი, შეგებებული სარჩელი თუ სხვა ტიპის სამართლებრივი დოკუმენტი, სანამ წარადგენს მათ საბოლოო ადრესატთან.

5.4 კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N090/13).

5.5 პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებს (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.6 „ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

5.7 საქმეში წარმოდგენილია რამდენიმე ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის თაობაზე, სადაც ხელშეკრულების მხარეები არიან დამკვეთი - კ. ბ. და შემსრულებელი შპს ,,---“ - წარმოდგენილი დირექტორის, გ. ქ.-ის სახით. კ. ბ. ხელს აწერს აღნიშნული ხელშეკრულებების ყველა გვერდს, რითაც კომისიის შეფასებით, კ. ბ. ეთანხმება ხელშეკრულების პირობებს. კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მას არ წაუკითხავს რაზე აწერდა ხელს.

5.8 კოლეგიას არ აქვს უფლებამოსილება იმსჯელოს გარიგების ნამდვილობაზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია ვერ მიიჩნევს მხარეთა შორის გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას მოტყუებით დადებულად, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც ხელშეკრულების ნამდვილობას საეჭვოს გახდიდა. მხოლოდ ის არგუმენტი, რომ მხარემ ხელშეკრულებას წაუკითხავად მოაწერა ხელი, არ არის საკმარისი ამ შეფასების გასაკეთებლად.

5.9 საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 22 თებერვლის შესაგებელი (საქმეზე N2/4286-17), რომელსაც, ასევე, ხელს აწერს კ. ბ.. ანალოგიური პრინციპით, კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ ის ინფორმირებული არ იყო შესაგებელში მითითებული ინფორმაციის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ შესაგებელს მხოლოდ ადვოკატი აწერს ხელს, მან უნდა ამტკიცოს, რომ ეს სამართლებრივი დოკუმენტი გააცნო კლიენტს და მასთან შეთანხმებით წარადგინა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, კლიენტი თავად აწერს ხელს შესაგებელს, რითაც გამორიცხავს იმ ალბათობას, რომ ადვოკატმა მას არ გააცნო შესაგებელი. შესაბამისად, კ. ბ.-ის პრეტენზია ამ ნაწილში, ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

5.10 კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის მისაღებად, ყოფილი კლიენტის მიმართ კანონიერი საშუალების გამოყენება - სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას. შესაბამისად, რადგან კლიენტი იცნობდა მომსახურების ხელშეკრულების პირობებს და დ. კ. კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მისცა აღსრულების შეჩერებისა და მისთვის სასურველი შედეგის დადგომის გარანტია, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.12 ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

5.13 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის, როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

5.14 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან საქმის შედეგზე შესაძლო გარანტიის მიცემის ფაქტი უნდა ამტკიცოს საჩივრის ავტორმა საპროცესო ეტაპზე - დასაბუთებული ვარაუდის, ხოლო საქმის განხილვის ეტაპზე - სარწმუნო მტკიცების სტანდარტით. მხარეთა შორის 2015 წლის 01 მაისს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტში მითითებულია, რომ „შემსრულებელს უფლება არ აქვს დამკვეთს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“; იგივე დათქმას შეიცავს 2015 წლის 01 ოქტომბრისა და 2017 წლის 22 თებერვლის მომსახურების ხელშეკრულებების 3.1.7 პუნქტი. ადვოკატი უარყოფს კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტს. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია კლიენტს - კ. ბ.-ს, რომელსაც არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც კომისიას დასაბუთებულ ვარაუდს შეუქმნიდა ადვოკატის მხრიდან გარანტიის მიცემის ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ უნდა აღიძრას დევნა ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ გარანტიის მიცემის აკრძალვის ვალდებულების შესაძლო დარღვევის საფუძველზე.

5.15 საპროცესო კოლეგიამ, საჩივრის ავტორის მესამე პრეტენზიიდან გამომდინარე, ასევე იმსჯელა ადვოკატის მხრიდან დაცვის უფლების გარეშე დატოვების ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე.

5.16 ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

5.17 ადვოკატს, პროფესიული ეთიკის კოდექსი აძლევს იმის საშუალებებს, რომ ყოველგვარი პატივსადები თუ სხვა მიზეზის არსებობის გარეშე შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა, ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ჰონორარის გადაუხდელობაც. მაგრამ, აქვე არის დათქმას იმის შესახებ, რომ კლიენტს უნდა ჰქონდეს გონივრული ვადა სხვა ადვოკატის პოვნისთვის, რათა ის არ დარჩეს დაცვის უფლების გარეშე.

5.18 „ადვოკატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე, შეწყვიტოს კლიენტთან დადებული ხელშეკრულება, თუ კლიენტს არ ეზღუდება დაცვის უფლებით სარგებლობა. შესაბამისად, დაცვის უფლების გარეშე დატოვება დაკავშირებულია გონივრულ ვადასთან. კერძოდ, ადვოკატმა გონივრული ვადით ადრე უნდა გააფრთხილოს კლიენტი, რომ წყვეტს მასთან ხელშეკრულებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N083/19).

5.19 მხარეთა პოზიციებიდან კოლეგიამ დაადგინა, რომ კლიენტს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადვოკატმა აცნობა სასამართლოს სხდომამდე 16 დღით ადრე, 2017 წლის 02 დეკემბრის წერილით. წერილით ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ და იმის თაობაზე, რომ ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, მასთან ხელშეკრულებას წყვეტდა. კოლეგიამ ვადის გონივრულობა შეაფასა იმ საქმიდან გამომდინარე, რომელშიც ჩართული იყო ადვოკატი და მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეში, სადაც კ. ბ. წარმოადგენდა მოპასუხეს, სასამართლოს სხდომამდე 16 დღით ადრე მომსახურების შეწყვეტის თაობაზე კლიენტის ინფორმირებით ადვოკატს არ დაურღვევია ეთიკური ვალდებულება, კლიენტს გონივრული დრო ჰქონდა სხვა ადვოკატის მომსახურების მისაღებად.

5.20 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ, ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლის შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.21 საჩივრის ავტორის მეოთხე პრეტენზია ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ მდგომარეობდა შემდეგში: ადვოკატმა კლიენტის ბაჟის თანხა მიიღო და კლიენტთან შეთანხმების გარეშე გამოაკლო მისთვის გადასაცემ ჰონორარს. აღნიშნულ პრეტენზიასთან მიმართებით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევაზე.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც ადვოკატმა ... სასამართლოსგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.22 კომისია განმარტავს, რომ მინდობილი თანხა წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას, შესაბამისად, ადვოკატმა მინდობილი თანხა უნდა განკარგოს კლიენტის სურვილისამებრ, მისი ინტერესის გათვალისწინებით. თუმცა, ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს უფლებას ანიჭებს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს უკვე გაწეული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო.

5.23 კლიენტს აქვს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა მიიღო და ჰონორარში გაქვითა მის საქმეზე მორიგების შედეგად სახელმწიფოს მიერ დაბრუნებული ბაჟის თანხა. ამ ფაქტს ადასტურებს ადვოკატი დ. კ., რომელიც უთითებს, რომ კომპანია და კლიენტი - კ. ბ. შეთანხმდნენ, რომ ბაჟის თანხა ჩაითვლებოდა ჰონორარში, ვინაიდან კლიენტი ვერ ფარავდა კომპანიის წინაშე არსებულ ვალდებულებას. კოლეგია განმარტავს, რომ ასეთ ვითარებაში, სასურველია ადვოკატმა წინასწარ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება, თუმცა კოდექსის 8.15 მუხლი, პირდაპირ ანიჭებს ადვოკატს უფლებამოსილებას, რომ კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს გაწეული სამართლებრივი მომსახურებისათვის შეთანხმებული მიუღებელი ჰონორარი. კოდექსის ეს ჩანაწერი არ მოითხოვს კლიენტის თანხმობას. ამის მიუხედავად, ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავებისათვის, სასურველია ამ ქმედებების შესახებ კლიენტი იყოს ინფორმირებული.

5.24 საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ არსებობს ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.25 შესაბამისად, ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), ეთიკის კოდექსის 8.5, 8.3, 8.7, 8.15 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №087/19 ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/